ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5489596

ნომერი: AR1828745

თარიღი : 02.07.2021

გაცემის თარიღი : 07.07.2021

გაცნობის თარიღი : 07.07.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თამარ მეფის გამზირი, N 16ა; ქალაქი თბილისი , გამზირი თამარ მეფე , 18;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "პენსან ჯორჯია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404870760
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიგა გობიანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006002562

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამაზი მურვანიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 02 ივლისის AR1828745 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, თამარ მეფის გამზ. N16ა-სა და N18-ში (ძეგლი) არსებული შენობების რეკონსტრუქციის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპრექტო შენობები განთავსებულია ორ საკადასტრო ერთეულზე (ს/კ N01.13.07.026.013 და N01.13.07.026.014), გააჩნიათ ერთიანი კედლები და ხდება აღნიშნული შენობების ურთიერთდაკავშირება, საჭიროა პირველ ეტაპზე მოხდეს საკადასტრო ერთეულების გაერთიანება და წარმოდგენილი იქნეს წერილი შესაბამისი უწყებიდან ობიექტის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე.

საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შემთხვევაში, აქვე გაცნობებთ ამ ეტაპის ხარვეზებს: :

1..საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: გენგეგმაზე ნაჩვენები იქნეს საკადასრტო ერთეულებზე არსებული ყველა შენობა;

2.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი -> .ძეგლის არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი:

- საკადასტრო საზღვრები არ შეესაბამება საკადასტრო გეგმას;

- წარმოდგენილი იქნეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები როგორც არსებული, ისე საპროექტო; ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მოვიდეს შესაბამისობაში გეგმებზე მითითებულ ფართებთან;
- გეგემებზე სქემატურად იქნეს ნაჩვენები იქნეს მიწის ნაკვეთზე არსებული შენობები;
- გეგმებზე დატანილი იქნეს ჭრილის ხაზები, ნიშნულები;
- საერთო ფართი არ შეესაბამება გეგმებზე მითითებული ფართების ჯამს;
- გეგმებზე შენობა გამოხაზული იქნეს სრულად, ფასადების შესაბამისად;
- გეგმებზე დატანილი იქნეს სარეკონატრუქციო ფართების საკადასტრო კოდები;
- ჭრილებსა და ფასადებზეც ნაჩვენები იქნეს საკადასტრო საზღვრები;

2.მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით. -> .მშენებლობის ორგანიზების პროექტი კალენდარული გრაფიკით pdf ფაილი.: წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის ორგანიზების სრულყოფილი პროექტი (ტექსტური ნაწილი, სამშენებლო გენგემა, დროებითი სამშენებლო ღობე და ა.შ.);

3.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევა -> .ძეგლის ისტორიულ - არქიტექტურული კვლევის pdf ფაილი: არ არის წარმოდგენილი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა თამარ მეფის გამზ. N16ა-სთან დაკავშირებით, ასევე რეკონსტრუქციით განსაზღვრული სამუშაოების რეკომენდაციებით;

4. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: დამატებით წარმოდგენილი იქნეს არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი, დათარიღებული ფოტოები სხვადასხვა, ასევე ეზოს მხრიდან, ინტერიერის ფოტოები;

5..ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : არ არის წარმოდგენილი ინტერიერის ფოტომონტაჟები მასალის, ფერის კოდების მითითებით;

6. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნა შენობების ტექნიკური მდგომარეობისა და ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ.

7. წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ვერ ჩაითვლება მისაღებად რადგან გეოლოგიური კვლევა არ არის ხელმოწერილი გეოლოგის მიერ, ასევე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას ხელმოწერილი კვლევა და კვლევის შემდგენლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

8. წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული პროექტში თავფურცელი, განმარტებითი ბარათი და მასალის სფეციფკაცია. დამატებით მიზანშეწონილია წარმოდგენილი იქნას კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასება;

9. საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, N01.13.07.026.013 საკადასტროს მესაკუთრეა შპს „პენსან ჯორჯია“, ხოლო 01.13.07.026.014 საკადასტროზე შპს „პენსან ჯორჯია“ წარმოადგენს შენობა N7-ში II სართულზე 205 კვ.მ-ს

მესაკუთრეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოები მხოლოდ შპს „პენსან ჯორჯიას“ კუთვნილ ფართზე არ ხორციელდება, შესააბმისად საჭიროა დაზუსტდეს დამკვეთი. დამკვეთად ასევე დაფიქსირდეს ი.მ.ა „777“ და მისი ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და წარმოდგენილ იქნეს ი.მ.ა „777“-ს ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. ასევე, წარმოდგენილ იქნეს ი.მ.ა „777“-ის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, მასში განხორციელებული ყველა ცვლილებით და საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილი პირის / ორგანოს თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებზე;

10. წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ან თან უნდა ერთვოდეს თანხმობის გამცემი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ნყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.